



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 5 21 0000321010



05/04/2021

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა
და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 30 მარტის №298573 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №163567 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-4 მუხლის პირველი, მე-2, მე-7 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით, 6 წლის ვადით შეიქმნას მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) და მისი შემადგენლობა, საბჭოში შემავალ პირთა წარმდგენი დაწესებულებების მიხედვით, განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. საბჭომ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები შეასრულოს ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №163567 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის“ შესაბამისად.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

Handwritten signature in blue ink, appearing to be 'თ. მახარაშვილი'.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილი მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

წარმდგენი ორგანიზაცია	საბჭოს წევრები
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	მაია შუხოშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	ნიკოლოზ სილაგაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმების ექსპერტი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გიორგი ჩიტაძე - სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის მოადგილე
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი

<p>ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია</p>	<p>ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი</p>
<p>საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა</p>	<p>ზაირა ბერიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მენეჯერი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი</p>
<p>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>ნინო ქიმერიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი</p>
<p>ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო</p>	<p>თამარ რუხაძე - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კვალიფიკაციების განვითარების მენეჯერი</p>
<p>სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>	<p>კახაბერ ერაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე</p>
<p>სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>	<p>ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე</p>